პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 მარტი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 49 (9460) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კაბინეტიდან შორს, ახლოს პრაქტიკულ საქმესთან

თურმე რამდენი პრობლემა გვქონია გადასაჭრელი! რაც უფრო ახლოს მივდივართ პრაქტიკულ საქმესთან, რაც უფრო ღრმად ვიხედებით პრობლემებში, მით უფრო ნათლად იჩენს თავს წინსვლის შემაფერხებელი ნაკლოვანებები. საქმისადმი ამგვარ მიდგომაში კი ნიშანდობლივი ის არის, რომ პრობლემების გადაჭრის გზებსაც ადვილად ვპედავთ, ვლინდება მრავალი რეზერვი.

დასამალი არ არის, რომ პრაქტიკული საქმის კაბინეტიდან ხელმძღვანელობის მავნე ტენდენციას ერთხანს ვერც ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა დააღწია თავი. მეტიც, იყო დრო, და ძალიან დიდხანს, როცა თვით მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზეც იშვიათად ვხედავდით სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს. სამწუხაროდ ბევრს დღესაც ვერ დაუთმია სამუშაო ოთახი, საიდანაც, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდად მოჩანს ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის დაჩქარება უარყოფითად მოქმედებს ჩვენს სფეროში გარდაქმნის დაჩქარებაზე.

ნიჩბოსნობის პრობლემებს მოვიტანთ სამაგალითოდ. როცა სპორტსაჭკომის შესაბამისმა განყოფილებამ სერიოზულად მოკიდა ხელი სპორტის ამ სახეობაში ჩვენი ჩამორჩენის ანალიზს, გაირკვა, რომ უამრავი შესაძლებლობები გვრჩება გამოუყენებელი, თურმე 1500 ნიჩბოსნიდან, რომლებიც ჯგუფებში და სექციებში არიან „გაერთიანებულნი“, ფაქტიურად ნახევარიც არ ვარჯიშობს. სპორტსაჭკომის ნიჩბოსნობის განყოფილების მუშაკები ამ დღეებში ქუთაისშიც ჩავიდნენ და... ის, რისი მოგვარებაც წლობით ჭიანურდებოდა, უმალვე მოგვარდა. ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობის დახმარებით შემოიღობა ტერიტორია, „კოლმეურნის“ საქალაქო საბჭო კი დაუყოვნებლივ შეუდგა ელინგის მოწყობას. ეს მაგალითი, ვფიქრობთ, გამონაკლისი არ იქნება.

პრაქტიკული საქმე დღეს უმთავრესია. თითოეული სპორტული ხელმძღვანელის უპირველესი სამუშაო ვახტი იქ არის, სადაც ქართული სპორტის აწმყო და მომავალი იჭედება.



## ქულა გაი ყვეს

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის IV ტურის ცენტრალური პარტია საოჯახო შეხვედრად გადაიქცა — ერთმანეთის პირისპირ გამოდიოდნენ დები მელაშვილები, ამ შეჯიბრების ლიდერები. ნინოსა და ქეთევანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ეს მათი პირველი დანაკარგია ჩემპიონატში. სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ნიკოლაძე — კახიანი 1:0, ხუგაშვილი — გაგნიაშვილი 1:0, ალიხანაშვილი — ხუციშვილი 0,5:0,5, სადუნიშვილი — თანდაშვილი 1:0. გადაიდო მახარაძე — ტერელაძის, ლანჩავა — ქასოშვილისა და ჩაიკოვსკაია — კობაიძის პარტიები.

4 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს 3,5 ქულით კვლავ ნინო მელაშვილი უდგას სათავეში. ქულით ნაკლები (სამი თამაშიდან) აქვს ქეთევან მელაშვილს. შემდეგ მოდიან ციალა ქასოშვილი (2 ქულა და ორი გადადებული პარტია), თამარ ხუგაშვილი (2 ქულა და ერთი გადადებული პარტია) და ლია სადუნიშვილი (სამიდან 2 ქულა).



ჭადრაკი

## ისევ ხოფერია და სიჭინავა...

სამტრედია (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატის VI ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: გოგიჩაიშვილი — ლობჟანიძე 0,5:0,5, ტაბატაძე — ლექვეიშვილი 1:0, ლექავა — სიჭინავა 0:1, ხეცურიანი — ტყეშუჩავა 0,5:0,5, თეიმურაზიანი — შალამბერიძე 0:1, ხოფერია — ნეჩაევი 1:0, მანაგაძე — ჩაჩიბაიასა და გოგოლაძე — პოპოვის პარტიები გადაიდო.

6 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულა აქვთ ზაზა ხოფერიასა და რომან სიჭინავას. 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს გოჩა ტყეშუჩავამ და კახა შალამბერიძემ.

**ბექან ჩხაიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



## მოახლოებული ფინიში

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ერთი მატჩი.**

დონეცკი. გათამაშების ლიდერმა ცსკა-მ სუპერფინალში თამაშის უფლება, ფაქტიურად, გაინაღდა. ამიტომ მწვრთნელები თამამად მიდიან ექსპერიმენტზე და ახალგაზრდა კალათბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევენ.

გუშინწინდელი მატჩის პირველი ნახევარი დონეცკის „შახტიორთან“ საკმაოდ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. არმიელებმა ტაიმი ერთი ქულის სხვაობით (52:51) მოიგეს. შესვენების შემდეგ კი მასპინძლები გააქტიურდნენ, ხელთ იგდეს ინიციატივა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 94:84.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 35 | 28 | 7 | 3306-2795 | 63 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 35 | 23 | 12 | 3077-2929 | 58 |
| „დინამო“ (თბილისი) | 35 | 20 | 15 | 2711-2871 | 55 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 34 | 20 | 14 | 2811-2746 | 54 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 35 | 18 | 17 | 2819-2842 | 53 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 13 | 21 | 2954-3095 | 47 |

გათამაშების დებულების თანახმად ფინალური ტურის დამთავრების შემდეგ გამოვლინდება სუპერფინალისტთა ორი წყვილი, რომლებიც 54-ე ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს გაითამაშებენ. მანამდე კი გუნდების უმრავლესობას ორ-ორი შეხვედრა ექნებათ ჩასატარებელი, როგორც ცხრილიდან ჩანს, ოქროს მედლებისთვის ბრძოლის შანსს ცსკა-ს გარდა, რეალურად კაუნასის „ჟალგირისიც“ ინარჩუნებს, მეორე სუპერფინალში კი ერთმანეთს ალბათ ლენინგრადის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ შეხვდებიან.

გავიდა ერთი წელი, რა გაკეთდა? ამიერიდან ამ ახალი რუბრიკით ხშირად შეხვდებით წერილებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ზუსტად წლის თავზე კვლავ დავუბრუნდებით იმ საკითხებს, რომლებზეც „ლელომ“ შარშან ამახვილებდა ყურადღებას. დღეს საუბარი გვექნება თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზის კეთილმოწყობის წლობით გაჭიანურებულ სამუშაოებზე.

იხ. მე-2 გვ.



## ზამთრის საკავშირო...

მოსკოვის „დრუჟბას“ უნივერსალურ სპორტდარბაზში დაიწყო ზამთრის ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში.

სასტარტო შეხვედრებიდან განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული იყო ორი ორთაბრძოლა. პირველში 18 წლის კიეველმა დ. პოლიაკოვმა საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, გამოცდილი მინსკელი ს. ლეონიუკი დაამარცხა — 6:4, 6:2.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა კალინინგრადელმა ა. ვოლკოვმა 18 წლის თბილისელ ვ. გაბრიჩიძეს აჯობა. პირველი პარტია გაბრიჩიძემ მოიგო — 7:6, მეორე და მესამე პარტია — ა. ვოლკოვმა — 6:4, 6:3. შეხვედრის საბოლოო შედეგია 2:1 კალინინგრადელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ.

სხვა ორთაბრძოლებიდან გამოვყოფთ ი. კროჩკოს (უჟგოროდი) გამარჯვებას ა. ვისანდთან (ტალინი) 6:3, 3:6, 6:3 და ა. დოლგოპოლოვისა — ვ. პეტრუშენკოსთან (ორივე — კიევი) 6:4, 6:2.

## ალექსანდრე ჭელიძე — თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი



თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში გაიმართა ქალაქის ზამთრის აბსოლუტური პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. ამ შეჯიბრებაში დამაჯერებლად იასპარეზა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა მხედარმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტული სკოლის აღსაზრდელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ალექსანდრე ჭელიძემ და თბილისის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.



## ველოსიპედისტთა სკოლა

„სპარტაკის“ ბავშვთა და ჭაბუკ ველოსიპედისტთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორს ავთანდილ გუნიას თუ ჰკითხავთ, ვინ არის მისი 250 მოწაფიდან ყველაზე პერსპექტიული, უსათუოდ ასე გიპასუხებთ: ყველა მათგანი!

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, რომელსაც არა ერთი სახელოვანი ველოსიპედისტი აღუზრდია, უყვარს ბავშვები და ხალისითაც მუშაობს მათთან. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს პერსპექტიულია მოსწავლე თუ არა, სპორტის ოსტატია, თუ პირველთანრიგოსანი. მაგრამ როცა აღსაზრდელთა წარმატებებზე ლაპარაკობს, არც ერთი დაწინაურებული არ გამორჩება. სპორტის ოსტატმა ვასილ დავიდენკომ, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი, რითაც მთელი სკოლა ამაყობს. იგი სხვადასხვა რანგის საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ხშირად იმარჯვებს და მწვრთნელებიც დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. რევაზ გაბეხაძეს კი ყველაფერი წინა აქვს. რა დასამალია და, სწავლაშიც ერთხანს გვარიანად ჩამორჩებოდა.

მამამ დახმარებისთვის მწვრთნელებს მიმართა. ვიქტორ მალცევი შვილის ბედზე დაფიქრებულ მშობელს დიდხანს ესაუბრა. ჩანს, მწვრთნელის რჩევამ ნაყოფი გამოიღო. ახლა რომ კითხოთ რევაზს, როგორ მიდის საქმეები, მოკლედ გიპასუხებთ, კარგადო.

...საწვრთნელი მეცადინეობის დაწყებამდე ბავშვები ერთმანეთს ახალ ამბებს უყვებიან, ნანახზე და განცდილზე უზიარებენ შთაბეჭდილებას, შემდეგ კი ველოტრეკზე ვარჯიშობენ, იმ ტრეკზე, რომელიც ძველ თბილისელებს ასე უყვართ და რომელსაც წლეულს არც მეტი, არც ნაკლები, ასი წელი უსრულდება.

ვარჯიში დამღლელია, მაგრამ ბავშვებს ხალისს მატებს. ნორჩ სპორტსმენებს ხშირად ასობით კილომეტრის დაფარვა უხდებათ, მაგრამ ასეთ დატვირთვას არად აგდებენ, რადგან კარგად იციან, რომ სწორედ ამ ველოტრეკზე ასევე გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ სახელოვანი ველოსიპედისტები გიორგი ლექავა და აკაკი ხაბურზანია, ვლადიმერ პოპოვი, ომარ ფხაკაძე, სხვები და სხვები, მათ შორის სკოლის დირექტორი ავთანდილ გუნიაც...



**გალავერი**

**მ. ვიგნანსკი.**

სურათებზე: ნორჩი სპორტსმენები ტატიანა პისარევა (მარცხნივ) და ელისაბედ შაბპარონიანი შესვენების დროს; ნორჩი ველოსიპედისტები თბილისის ძველ ტრეკზე.



გ. კოკვაძის ფოტოები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „ჩვენ ვერცერთი ნაბიჯით ვერ წავიწევთ წინ, თუ არ ვისწავლეთ ახლებურად მუშაობა, თუ ვერ დავძლიეთ ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი, თუ არ გვეყო ვაჟკაცობა ფხიზლად შევაფასოთ ვითარება და ისეთად დავინახოთ, როგორიც არის, იმისთვის, რომ უპასუხისმგებლობა წარსულს ჩაბარდეს, წესად უნდა დავამკვიდროთ საგნებისათვის საკუთარი სახელების დარქმევა, ყველაფრის შესახებ პირდაპირი ლაპარაკი“.

ერთი წელი გავიდა. რა გაკეთდა?

# შეუსრულებელი დაპირებაც ფორმალიზმია



ეს ფოტოსურათი გუშინ გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა „ლოკომოტივის“ საცურაო აუზზე.

„მკვდარი აუზი“ — ასე ერქვა წერილს, რომელიც შარშან, 18 მარტს გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. „მკვდარი აუზი“ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი იყო და... არის. დიახ, არის, იმ წლებს, როცა აუზი არ მუშაობდა, კიდევ ერთი წელი დაემატა, და კაცმა არ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელებისთვის მკაცრად რომ არ მოეთხოვათ პასუხი ამგვარი ინერტულობის გამო.

პასუხი ჩვენს იმ კრიტიკულ გამოსვლაზე რკინიგზის სამმართველომ ორი კვირის თავზე გამოგვიგზავნა და დავბეჭდეთ კიდეც.

ამონაწერი პასუხიდან: „ამ დღეებში აუზის რემონტს შეიტანენ კაპიტალური შეკეთების გეგმაში. ამასთან დაკავშირებით საპროექტოს დაევალა კაპიტალური რემონტისთვის შედგენილი საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის ხელახლა შედგენა... „კავჟელეზნოდორპროექტის“ თბილისის ფილიალის უფროსს ი. ლომიძეს დაევალა აუზის კაპიტალური რემონტისთვის ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია“. როგორ გგონიათ, შესრულდა ეს დავალება? არა. არ შესრულებულა. გამოდის, რომ პასუხი ფორმალური იყო. სინამდვილეში შარშანდელი პრობლემები წლეულსაც გადაუჭრელია. ახლა, როცა ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდით, ათასმა მიზეზმა იჩინა თავი. აცხადებენ აუზის რემონტთან დაკავშირებით ზოგი რამ „შემოვლით“ დავთმეთ კიდეცო. ნუ გამოვეკიდებით დეტალებს, ვთქვათ მთავარი: რა „შემოვლით“ მეთოდებზეა ლაპარაკი, როცა ბალანსზე მყოფი სპორტული ნაგებობის კაპიტალურ შეკეთებას და კეთილმოწყობას ეხება საქმე? მხოლოდ „ლელოს“ ფურცლებზე კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ რატომ დაფიქრდნენ იმაზე, რომ „ლოკომოტივის“ აუზს მიხედვა სჭირდებოდა? გზის ხელმძღვანელები ამას ხომ თავად აღიარებენ. მაგრამ ახლა საკითხავი სხვაც არის: რატომ მოხდა, რომ დანაპირები არ შესრულდა?

ზემოთ ციტირებული პასუხის შინაარსი და სინამდვილე იმას ადასტურებს, რომ აუზის ბედი გულთან ახლოს არავინ მიიტანა. კონკრეტულად: ის დანაპირები ტექნიკური დოკუმენტაცია წელს თებერვლის დამლევისათვისაც არ იყო მზად. ცხადია, არც თანხები გამოუყვიათ. შარშან 820 ათასი მანეთი ყოველგვარი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის გარეშე დაუხარჯავთ.

ამონაწერი პასუხიდან: „სავეგმო ეკონომიკური განყოფილების უფროსს შ. მიქაძეს დაევალა აუზის კაპიტალური რემონტის საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის თანახმად გამოყოს თანხა და აუზი შეიტანოს სარემონტო სამუშაოების გეგმაში. გზის უფროსის მოადგილეს ლ. მეგრელიშვილს ეთხოვა 1987 წლის ბოლომდე აუზის რემონტის დამთავრება. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თავმჯდომარეს თ. ქობულაძეს დაევალა აქტიური მონაწილეობა მიიღოს აუზის კაპიტალური რემონტის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში. პროფკავშირების საგზაო საბჭო სისტემატურად მოისმენს ინფორმაციებს აუზის კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის შესახებ“.

სამწუხაროდ, რედაქციაში გამოგზავნილი ამ პასუხის პრაქტიკული საქმით განმტკიცებაზე მთელი ერთი წლის განმავლობაში არავის უფიქრია. რა მდგომარეობაა ამჟამად? მას შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ დავუბრუნდით ამ საკითხს, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, შეიცვალა სახიკეთოდ. ცალკეულმა სამსახურებმა, აქამდე ერთმანეთს რომ აბრალებდნენ გულგრილობას, ახლა საერთო ენა გამონახეს. თუმცა ყველა აცხადებდა, წლეულს ველაფერს მოვასწრებთ, სამუშაოებს 1988 წლისთვის დავამთავრებთო. საქმეში გზის უფროსის უშუალო ჩარევით გადაწყდა, რომ აუზი წლის ბოლოსთვის ჩადგეს მწყობრში.

ეს აუზი გუშინაც მოვინახულეთ. მუშაობის ტემპი მართლაც კარგია. შექმნილია საგანგებო შტაბი. იმედი გვაქვს, რკინიგზელები ამჯერად მაინც არ გატეხენ სიტყვას და საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

ამ ობიექტზე მუშაობის მიმდინარეობა „ლელოს“ კონტროლზეა.


ლელო ••• 18 მარტი, 1986 წ.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა:

„იმის შესახებ, რომ ჩვენ, რკინიგზელები, არცთუ ისე კარგად ვმუშაობთ, დიდი ხანია ლაპარაკობენ ხელმძღვანელი ორგანოები, ამასვე მოწმობს საზოგადოებრივი აზრი, პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული მასალები“.

მკვდარი აუზი

## ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა

მოხერხებული ტანსაცმელი, ზურგჩანთა აუცილებელი ნივთებით, გიტარა და... ბუნება მთელი თავისი სილამაზით: ტყე, ნაკადული, მზე და სუფთა ჰაერი... თუმცა მოგზაურობის მოყვარული არც უამინდობას შეუშინდება, სამუშაო დღით დაღლილი, კვირადღით ზურგჩანთას მოიკიდებს და ცოტა ხნით გაერიდება ქალაქის ორომტრიალს, დასასვენებლად და ძალის მოსაკრებად.

საბურთალოს რაიონის მცხოვრებთა მონაწილეობით სულ უფრო ხშირად იწყობა ტურისტული ლაშქრობები. ამ საქმეს რაიონის სპორტკომიტეტი ხელმძღვანელობს. მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები, დიასახლისები გასულ კვირას ამ წელიწადში პირველად შეიკრიბნენ და ლისის ტბის მიდამოებს ეწვივნენ.

გვესაუბრება რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ჯინჭარაძე:

— თავდაპირველად სკოლებიდან, სასწავლებლებიდან, დაწესებულებებიდან თითო-ოროლა ადამიანი ძლივს გამოგვყავდა, მაგრამ ასეთ ლაშქრობებს თანდათან სხვა თვალით დაუწყეს ყურება. რაც მთავარია, სავალდებულო ღონისძიებად არ თვლიან და ხალისით იკრიბებიან ქალაქგარეთ გასასეირნებლად. უკვე ოჯახის წევრებთან ერთად მოდიან. პროგრამის მრავალფეროვნებისათვის ბუნების წიაღში ვაწყობთ ფეხბურთის მატჩებს, შეჯიბრებას კროსში, მშდ ნორმატივების ჩაბარებაში... ასეთი შეჯიბრებები უფრო ალამაზებს ჩვენს თავშეყრას.

რაიონის რამდენიმე ორგანიზაციამ ენთუზიასტთა წყალობით უკვე გამოცდილება შეიძინა. ახლა ისინი საინტერესო, გრძელმარშრუტიან ლაშქრობებსაც აწყობენ და შეჯიბრებებსაც მართავენ. მაგალითად, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის, ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის, აგრეთვე საინსტრუმენტო ქარხნისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები უკვე ნაცადი მოლაშქრეები არიან.

დღეს ალბათ გამიძნელდება ვთქვა, რომელი ორგანიზაციის წარმომადგენლები არ დასწრებიან ტურისტული სეზონის გახსნას. მართალი გითხრათ, არ გვეგონა ამდენი ხალხი თუ შეიკრიბებოდა. დიდი-დიდი 1000 მონაწილეს ველოდით, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, 3,5 ათასმა ადამიანმა გამოთქვა წამოსვლის სურვილი. მარტო პოლიტექნიკურმა, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებმა 800-ზე მეტი სტუდენტი გამოიყვანეს. სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა შეავსეს მოლაშქრეთა რიგები. შემოგვიერთდნენ ე. წ. თვითმოქმედი ტურისტებიც და მოგზაურობის მოყვარული ოჯახებიც.

### როდის წავალთ ლაშქრობაში?

— ოჯახის წევრებთან ერთად ხშირად ამოვდივარ აქ დასასვენებლად და გასართობად. — გვითხრა ზურაბ ელოშვილმა, საბურთალოს რაიონის სატელეფონო სადგურის თანამშრომელმა. — ახლაც ენახეთ თუ არა აფიშა, რომელიც ქალაქგარეთ გვიწვევდა, სალაშქროდ მოვემზადეთ.

ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექციამ მოლაშქრეებს ყველა ბაზა და სპორტული მოედანი დაუთმო: ნავებითა და საწყლოსნო ველოსიპედით უფასოდ შეიძლებოდა სეირნობა, ჩოგბურთის კორტებიც გამოცოცხლებულიყო. აქ ფეხბურთს თამაშობდნენ, იქ ბადმინტონს. განსაკუთრებულ ყურადღებას მასობრივი შეჯიბრებები იქცევდა.

— ახალგაზრდებთან გაჯიბრებას არც ვაპირებდი. — გვითხრა სასტუმრო „აკადემიურის“ უფროსმა ადმინისტრატორმა სულიკო გონიაშვილმა — მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და გადავწყვიტე თავიც გამომეცადა და თან ჩემს შვილიშვილთან, ნათიასთან თავი მომეწონებინა. მართალია, ფუთიანი „გირი“ ერთი-ორჯერ ავწიე, მაგრამ ნათიას უკვე ჩემპიონი ვგონივარ.

ნამდვილ ჩემპიონად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორეკურსელი დათო მაისურაძე აღიარეს, რომელმაც 29-ჯერ ასწია ეს სიმძიმე.

ამ დღეს მძლეოსნობასაც ბევრი მოყვარული გამოუჩნდა. პროგრამის მთავარი ნაწილი კროსი იყო. გოგონები 300-მეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ფინიშთან პირველი მივიდა ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმის მოსწავლე ლია ვარდიგულოვა. 500 მეტრზე კი, ვაჟთა შორის № 1 სამშენებლო ტრესტის მუშაკმა გია შამშიაშვილმა გაიმარჯვა. სამ კილომეტრზე რბენაში ყველას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამეკურსელმა როინ ჯიხვაძემ აჯობა.

გახარებული იყო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე, რომლის სტუდენტებმა პროგრამის ბევრ სახეობაში გაიმარჯვეს.

— ჩვენ ასი კაცის გამოყვანა გვთხოვეს, ლაშქრობაში კი 450-მდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი წამოვიდა — გვითხრა მან.

აი რას ამბობს მე-8 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ნიაზ მაღლაკელიძე:

— ჩვენს დროში, როდესაც ზოგს 200 მეტრის გავლა ავტობუსის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ასეთი ლაშქრობების მნიშვნელობა ძალზე დიდია. თუ ადამიანს საშუალება არ აქვს ყოველდღე ფეხით იაროს, კვირაში ერთხელ მაინც უნდა გავიდეს ბუნების წიაღში. აუცილებელი არ არის სპორტკომიტეტის მიწვევა, იარეთ მარტო, ამხანაგებთან, ოჯახის წევრებთან ერთად.

ალა ზენკო.

## შეკითხვა რჩება, შეგახსენებთ!

„შეჯიბრებამაც უიმედოდ დაგვტოვა“, გახსოვთ ალბათ ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 12 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილი. ამ პუბლიკაციაში ყურადღება გავამახვილეთ სტაიერთა მომზადებაში ადრე დაშვებულ ნაკლოვანებებზე, რამაც მძლეოსნურ კროსში სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ იქამდე მიგვიყვანა, რომ მწვრთნელებს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის დაკომპლექტებაც გაუძნელდათ. რედაქციას გაზეთის ამ კრიტიკულ გამოსვლაზე დღემდე არ მიუღია პასუხი. რატომ სდუმს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველო, ხომ არ ღალატობს იგი მის მიერვე აღებულ პრინციპულობის კურსს? რატომ არ გამოგვეხმაურნენ სპორტული საზოგადოებების ხელმძღვანელები? თუ ეს მათ არ ეხებათ, იქნებ ის მაინც გვითხრან, რატომ, ან გვირჩიონ, ვინ უნდა მოაგვაროს პრობლემები, რომელიც კრიტიკულ წერილში იყო დასმული?

ველით პასუხს.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ვანი

აქ გამართულ მოსწავლე მოჭადრაკეთა სარაიონო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საშუალო და რვაწლიანი სკოლების გუნდებმა.

საშუალო სკოლებს შორის პირველობა არავის დაუთმეს ქვედა გორელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც ფინალში ვანის № 1 საშუალო სკოლის თანატოლებს სძლიეს და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

რვაწლიანი სკოლების გუნდების შეჯიბრებაში ყველას მიქელეფონის მოჭადრაკეებმა აჯობეს.

მურთაზ პირველაშვილი.

### თერჯოლა

რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა 21 კოლექტივი იბრძოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასისათვის.

გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩხარისა და ჭოგნარის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ჩხარელებმა.

ვანო კუტალაძე.
(ჩვენი კორ.).

### ყვარელი

ი. ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავს მიეძღვნა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ყვარლის საწარმო-დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივები. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, რაიკოოპერატივის, „აგრომრეწვტრანსის“ ავტო-სატრანსპორტო საწარმოს, „ყვარელგაზის“ სამმართველოს და პარტიის ყვარლის რაიკომის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა კომუნალურ საწარმოთა კომბინატის გუნდმა (უფროსი გ. კუპრაშვილი, მეთოდისტი მ. ქართველიშვილი), რომელსაც ი. ჭავჭავაძის სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა. II ადგილზე გავიდა რაიკოოპერატივის ფიზკულტურის კოლექტივი. III იყო „აგრომრეწვტრანსის“ სატრანსპორტო საწარმო. ეს ღონისძიება „კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ ჩაატარა.

თ. წიწრიაშვილი,
„კოლმეურნის“ ყვარლის რაისაბჭოს თავმჯდომარე.




# პირველი ტური

**გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები.**

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ძველი მეტოქე, მოსკოვის „სპარტაკი".
თამაში დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ — 3:1.

**სხვა შეხვედრათა შედეგები:**

**„დნეპრი" — „ქაირათი"** 0:0;

**„შახტიორი" — „ზენიტი"** 1:1;

**„არარატი" — „მეტალისტი"** 1:0.

# ორი მატჩი გადაიდო

**ფეხბურთის** მოყვარულებმა იციან, რომ თურქეთის ქალაქ სტამბულში უამინდობის გამო არ შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის შეხვედრა ადგილობრივ „ბეშიქთაშსა" და კიევის „დინამოს" შორის. უეფა-ს გადაწყვეტილებით ეს მატჩი გაიმართება 14 მარტს.

კიევის დინამოელები თურქეთიდან შინ მხოლოდ 9 მარტს გვიან ღამით დაბრუნდნენ. ამის გამო გადაიდო სსრ კავშირის ჩემპიონატის I ტურის მათი კალენდარული მატჩი ლანჩხუთის „გურიასთან".

გადადებულია, აგრეთვე, თბილისისა და კიევის დინამოელთა 13 მარტის საკავშირო ჩემპიონატის II ტურის კალენდარული მატჩი.

კიეველთა გადადებული შეხვედრების თარიღები მოგვიანებით დადგინდება.

გაიმართა რესპუბლიკის პირველი ჯგუფის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის მატჩები.

**„დინამო-2"-„იმედი" (თბილისი)— „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი).** გოლები: ფანცულაია („დინამო-2"-„იმედი"), ურიადმყოფელი („მეტალურგი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (გაგრა) 3:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ბენდელიანი, ქვილითაია, კვირკველია („სამეგრელო"), მატოსიანი, კვარაცხელია („დინამო").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: მეტრეველი, მარეხაშვილი, ხურცილავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„სქური" (წალენჯიხა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:1. მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი).** გოლები: ზარქუა-3 („სქური"), ფანჩულიძე („საპოვნელა").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ფეხბურთელები გ. ფანჩულიძე და კ. ჩინჩალაძე.

**„მერცხალი" (მახარაძე) — „კახეთი" (თელავი) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: თოფურიძე-2, ხომაშურიძე („მერცხალი").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: სვანაძე-2 („შადრევანი"), კვირტია („დინამო").

ბურთის განზრახ ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს „შადრევნის" ფეხბურთელი ზ. ტეხოვი.

**„კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი).** გოლები: ქომეთიანი-2 („კოლხეთი"), ლამბაშიძე („ივერია").

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ხაშურელი ფეხბურთელი გ. ზვიადაძე.

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ნანობაშვილი (ახ. საფეხბ. სკოლა). თ. ბჟანია-2 („ამირანი").

გვერდითი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი ბ. ჩხვირკია, ხოლო მისი თანაგუნდელი ჯ. გოგოლაშვილი გააფრთხილეს.

**„იმერეთი" (ქუთაისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ტროიანი, არაბიძე („იმერეთი"), ჩიქობავა-2 („ეგრისი").

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „არმაზი" (მცხეთა) 4:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ხუციშვილი, წკრიალაშვილი, გოგიშვილი, ტაბატაძე („ქართლი"), ხუცურაული, სოლოღაშვილი („არმაზი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს შ. ტაბატაძე („ქართლი") და მ. ხუცურაული („არმაზი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ზ. ჯაფარიძე და ვანელი დ. ორმოცაძე.

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).**

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურა ყვარლელმა გ. ლვინიაშვილმა.

## საქართველოს პირველობა

**საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი სულ ახლახან დაიწყო, ჩატარებულია მხოლოდ 2 ტური და წესრიგის დარღვევებმა ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე უკვე კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. ამ ორ ტურში უკვე ორი ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან — ხაშურელი გ. ზვიადაძე და ოჩამჩირელი ბ. ჩხვირკია.**

**მკაცრ სასჯელს იმსახურებს ოჩამჩირელი ფეხბურთელი ბ. ჩხვირკია. მატჩი ოჩამჩირის „ამირანსა" და თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს შორის შედგა „ლოკომოტივის" ბაზაზე დიღომში,** თამაშს ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელები, ფეხბურთის სამმართველოს მუშაკები, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციისა და ჩვენი გაზეთის წარმომადგენლები. მათ საკუთარი თვალით იხილეს, რომ ამ ფეხბურთელმა ყოვლად დაუშვებელი, ხულიგნური საქციელი ჩაიდინა. მაშინ, როცა მინდორზე შექმნილი სათამაშო სიტუაცია სრულიადაც არ იყო ისეთი, ამგვარი რეაქცია რომ გამოეწვია ფეხბურთელის მხრივ. ბ. ჩხვირკიას არ მოეწონა გვერდითი მსაჯის რომელიღაც გადაწყვეტილება, სპორტსმენმა, მოზრდილმა ადამიანმა, რომელსაც ბევრი რამ მოეთხოვება, წამითაც არ იფიქრა ნერვები რომ მოეთოკა და უდიერად, უშვერი გინებით მიმართა მსაჯს. ალვირახსნილ ფეხბურთელს სრულიად გაუმართლებლად, უსაფუძვლოდ გამოესარჩლნენ თანაგუნდელები, არბიტრი თ. ლაცაბიძე იძულებული იყო საკმაო ხნით შეეჩერებინა თამაში და დაეშოშმინებინა წრესგადასული მოთამაშეები. ამ დროს ვერც „ამირანის" ერთ-ერთმა ვეტერანმა ფეხბურთელმა გ. გოგოლაშვილმა შეიკავა თავი და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

ორ ტურში ორი გაძევება და თერთმეტი გაფრთხილება! ეს ყოვლად მიუღებელი ამბავია. უხეში, წრესგადასული [illegible] ფეხბურთელები ხულიგნები თუ [illegible] არ ჩავაყენეთ კალაპოტში, არ ავილაგმეთ და მკაცრად არ დავსაჯეთ, შემდგომში კიდევ უფრო გაგვიჭირდება ჩვენს სტადიონებზე წესრიგის დამყარება. დისციპლინის დამრღვევებს შეღავათი არ უნდა მივცეთ!

**III ტურის კალენდარი**

**14 მარტი**

„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „სულორი" (ვანი) — „მერცხალი" (მახარაძე), „არმაზი" (მცხეთა) — „სქური" (წალენჯიხა), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი), „ამირანი" (ოჩამჩირე) — „იმერეთი" (ქუთაისი), „კოლხეთი" (ხობი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

**15 მარტი**

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „დინამო" (ზუგდიდი), „კახეთი" (თელავი) — „შადრევანი" (წყალტუბო), „საპოვნელა" (თერჯოლა) — „მადნეული" (ბოლნისი), „დინამო" (გაგრა) — „სპარტაკი" (ცხინვალი), „ეგრისი" (ცხაკაია) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), „დინამო-2"-„იმედი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური).



# ხულიგან გულშემატკივრებს—ციხე

**ბრიტანეთის** სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა ფეხბურთის 26 ინგლისელ გულშემატკივარს, რომლებიც 1985 წელს ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის უშუალო მოთავენი იყვნენ.

„ეიზელზე" 39 კაცი დაიღუპა, ბევრიც დასახიჩრდა. ხულიგანი გულშემატკივრები მხილებული იქნენ პოლიციის მიერ გადაღებული ვიდეოჩანაწერების მეშვეობით, თითოეულ მათგანს დაუმტკიცეს ჩადენილი დანაშაული.

## პირველი მატჩები

● სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს" მეტოქე პირველ ტურში სულ 17 გუნდი იყო. სასტარტო მატჩებიდან თბილისელებმა 24 თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, 8 წააგეს, ხოლო 17 ფრედ ითამაშეს. გაიტანეს 78 ბურთი და მიიღეს 47.

● პირველ მატჩებში 6-6 ბურთი გაიტანეს ზ. კალოევმა და დ. ყიფიანმა, 5-5 — ა. ღოღობერიძემ და რ. შენგელიამ.

● თბილისის „დინამოს" კარში პირველ მატჩებში 3 ბურთი აქვს გატანილი კიევის „დინამოს" თავდამსხმელს კ. შეგოცკის, 2-2 — პონომარიოვს („ტორპედო" მ.) და ვ. სავდუნინს („დინამო" მ.).

● თბილისის „დინამომ" სამჯერ აიღო სტარტი მეტოქის მინდორზე.

● დიდი ანგარიშით სასტარტო მატჩი თბილისელებმა მოიგეს 4-ჯერ: 1939 წ. 4:1 („დინამო", მოსკოვი), 1951 წ. 6:0 („სპარტაკი", თბილისი), 1963 წ. 4:0 („ზენიტი", ლენინგრადი), 1970 წ. 3:0 („ტორპედო", მოსკოვი), დიდი ანგარიშით წაგებულია ერთი სასტარტო მატჩი: 1958 წ. 1:6 (მოსკოვის „დინამოსთან").

**შანდურ ბერულავა.**

## სად ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი?

**მსოფლიოს** მორიგი, XIV ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორც ცნობილია, 1990 წელს ჩატარდება იტალიაში, დღის წესრიგში კი შემდგომი, XV ჩემპიონატის საკითხი დგას. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დებულების თანახმად იგი გაიმართება არა ევროპაში, არამედ რომელიმე სხვა კონტინენტზე.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების მასპინძლობის სურვილი ოფიციალურად გამოთქვეს ალჟირის, ბენინის, ბრაზილიის, ჩილის, მაროკოს, სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციებმა.

გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ სად ჩატარდება მსოფლიოს XV ჩემპიონატი, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია გამოაცხადებს მიმდინარე წლის 30 სექტემბერს.

## ისევ „მეტალისტი", „ფოსტამტი", „ქიმიკოსი"...

**მახსოვს** კარგა ხნის წინ საქართველოს საფეხბურთო პირველობის მონაწილე გუნდებს ერქვათ იმ სპორტული ორგანიზაციების სახელები, რომელთა წარმომადგენლებიც ისინი იყვნენ: „კოლმეურნე", „განთიადი", „ლოკომოტივი" და სხვ.

მაშინ „ლელომ" გუნდების ხელმძღვანელებს მოუწოდა შეერჩიათ კეთილხმოვანი, ადგილობრივი ისტორიული ან გეოგრაფიული სახელები, ამის შედეგად გაჩნდა „სულორი", „ეგრისი", „დურუჯი", „საირმე", „მუქურა", „თორი" და სხვ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ძველი „ტრადიცია" რატომღაც ისევ აღდგა და რესპუბლიკური შეჯიბრების II ლიგის გუნდებს კვლავ დაარქვეს „მეტალისტი", „ფოსტამტი", „ავტომობილისტი", „ქიმიკოსი", „სუბტროპიკი", „მეშაქრე" და ა. შ. ცუდი მაგალითი, როგორც იცით, გადამდებია, ამიტომ, ვინ იცის, შეიძლება გამოჩნდეს „მესიმინდე", „მეხილე", „მეჩაიე", „მეკარტოფილე", „მებოსტნე" და ა. შ.

ვფიქრობ, ყოველ რაიონს, უმაღლეს სასწავლებლებს, საქართველოს ყოველ კუთხეს შესაძლებლობა აქვთ გამოძებნონ ისეთი სახელი, რომელიც მათ შეეფერება და სწორედ ასეთი კეთილხმოვანი სახელწოდებები დაარქვან გუნდებსაც.

**რეზო კობაძე.**

**ჩვენი გუნდები უმაღლეს ლიგაში**

# თბილისის „შევარდენი" სეზონის წინ

**შარშან რეგბის ქართველი გულშემატკივრები თბილისის „შევარდენმა" გაახარა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტებმა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს. წლევანდელი საპასუხისმგებლო სეზონის დაწყებამდე ვესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ რამაზ სანებლიძეს.**

— სეზონისთვის მზადება შარშან, 5 დეკემბერს, „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსში დავიწყეთ — გვითხრა მან. — იანვრის ბოლოს ბორჯომში გავემგზავრეთ, სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე. ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე ვვარჯიშობთ. მალე გავმართავთ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას. გავზარდეთ ვარჯიშის ინტენსივობა. თუ შარშან კვირაში 3-4-ჯერ ვვარჯიშობდით, წელს 5-6-ჯერ და ზოგჯერ დღეში ორჯერაც ვიკრიბებით. საწვრთნელი პროცესის რეგულირებაში გვეხმარება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპორტული მომზადების მეცნიერული უზრუნველყოფის განყოფილება.



**● გუნდში თუ შეიცვალა რამე?**

— გუნდის უფროსად დაინიშნა წარსულში ცნობილი რეგბისტი, თბილისის „დინამოს" ყოფილი წევრი რომეო ლვინიაშვილი. გუნდის მწვრთნელები არიან დავით ჭაბუკიანი და ზურაბ ლოსაბერიძე, ადმინისტრატორია თამაზ პაიჭაძე. გვეყოლება ექიმები — თამარ ჭანიშვილი და კოტე კილაძე. „შევარდენში" ჩაირიცხნენ გელა გოგეშვილი, ზაზა ლეჟავა, ლაშა ვაშაკიძე, ნუკრი წიკლაური, გოგი კომახიძე, ზაზა ხუჭუა და ირაკლი თეზელაშვილი. ვფიქრობ, გუნდის ვეტერანებთან ერთად ისინიც იტყვიან თავიანთ სიტყვას. ჯერჯერობით გუნდის ყველა რგოლი თანაბარი ძალის არ არის — მოისუსტებს მეორე ხაზი, პირველი შუამარბი და გარემარბიც შედარებით ახალგაზრდა, გამოუცდელი რეგბისტები არიან.

**● თუ სხვა პრობლემები არა გაქვთ, ალბათ ამ სიძნელეს მალე დაძლევთ.**

— არა, პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ ახლა ჩვენი ძირითადი საფიქრალი სტადიონია. დიახ, ახალი დებულების თანახმად, თუ უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდს არ ექნება ისეთი სტადიონი, რომელიც სულ მცირე, 2000 კაცს დაიტევს, იგი გათამაშებიდან მოიხსნება. ჩვენი ინსტიტუტის მოედანზე ტრიბუნების ასაგებად თანხა კი გამოიყო, მაგრამ მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. არადა, ჩემპიონატი კარზეა მომდგარი.

**● რა მიზანს ისახავს „შევარდენი" წლევანდელ სეზონში?**

— ათი წელია ამ გუნდთან ვმუშაობ და არ მახსოვს ბიჭებს ასე მოენდომებინოთ. მართალია, ძნელი ბრძოლები გველის, მაგრამ მოთამაშეთა შემართება ოპტიმისტურად განგვაწყობს მწვრთნელებს. თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა ფეხი მოვიკიდოთ უმაღლეს ლიგაში, შემდეგ კი ჩვენი რეზერვის ჯერიც დადგება — „შევარდენს" ხომ ერთი ახალგაზრდული და ორი ბავშვთა გუნდი ჰყავს. სხვათა შორის, ვაპირებთ მესამოცე საშუალო სკოლაში ჩამოვაყალიბოთ რეგბისტთა ჯგუფი, რომელშიც პირველი და მეხუთე კლასების მოსწავლეები გაერთიანდებიან. ნორჩების ეს გუნდი ჩვენი რეზერვის რეზერვი იქნება.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

• • •

**რედაქციისაგან: ჩემპიონატი კარზეა მომდგარი, „შევარდენის" მოთამაშეები კი ისევ ტრიბუნების აგებას ელიან. ვაითუ, ჩვენ მინდორზე თამაშის უფლება არ მოგვცენო, შიშობენ უმაღლესი ლიგის დებიუტანტები, რომლებმაც პირველ წრეში 11 თამაშიდან 9 შინ უნდა ჩაატარონ. იმედი გვაქვს „საქაგრომშენის" № 1 ტრესტი (მმართველი ნოდარ ბოკერია), რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოედანზე ტრიბუნების მოწყობა დაევალა, არ დაალალატებს თბილისელ რეგბისტებს.**

ნიჩბოსნობა

# შეგირდი ნაკრებს უმიზნებს

წელს, ზაფხულში, მეორედ ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობაში ჭაბუკთა შორის (პირველი ასეთი ჩემპიონატი ორი წლის წინ გაიმართა იტალიაში). საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები ამ ჩემპიონატზე გამოსასვლელი ჭაბუკ ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდისთვის კანდიდატებს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჭაბუკ ნიჩბოსანთა შეკრებებზე არჩევენ. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ახლახან გალის წყალსაცავზე, საბჭოთა კავშირის სპორტსაზკომის ნიჩბოსანთა სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში (რომელიც რეჩხის დასახლებაში მდებარეობს) გამართულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებას საბაიდარო ნიჩბოსნობაში. 1969-1970 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა ახალი სისტემით, ეგრეთ წოდებულ მრავალჭიდში იასპარეზეს: შეჯიბრების დასასრულს შეჯამდა თითოეული სპორტსმენის ოთხ დისტანციაზე გამოსვლის შედეგები (გოგონებისთვის რბოლა მოეწყო 250, 500, 1000 და 2000 მეტრზე, ვაჟებისთავის — 250, 500, 1000 და 5000 მეტრზე).

გოგონათა ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა ლვოველმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ირინა რედკომ, მეორე და მესამე ადგილებზეც უკრაინელი სპორტსმენები — ოდესელი ნატალია ლეშჩენკო და ტირასპოლელი ანჟელა კარანჩუკი გავიდნენ.

ვაჟთა შორის საუკეთესო იყო კალინინელი ანდრეი პლიტინი, მეორე ადგილზე გავიდა კიეველი ალექსეი ივილყენკო; მესამეზე — მოზირელი ალექსეი ლიასკი.

კანოისტთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა მოსტელმა სერგეი მამამ, მეორე იყო როსტოველი ოლეგ ერშოვი, მესამე — დონბნოსტვორელი მიხეილ სლივინსკი.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსპექტიულ ნიჩბოსანთა სიაში მოხვდა ასპარეზობის ყველაზე უმცროსი მონაწილე, სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ირაკლი ზოშტარია. სპეციალისტების აზრით, სოხუმელი მწვრთნელის აქილევს მავროფიდის შეგირდი მალე საკავშირო ნაკრების კანდიდატი გახდება.

**მაია მეხხია,**
„ლელოს" საკ. კორ.

გალი.

## კასიმოვი — ტურნირის საუკეთესო მოთამაშე

**ბაქო.** დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გადამწყვეტ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა მეორე გუნდი (2:1). მესამე ადგილი ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებული გუნდის კაპიტანი მირჯალალ კასიმოვი გამოცხადდა.

# ბაკურიანში...

**გაიმართა** საქართველოს თასის გათამაშება 70-მეტრიანი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში.

უძლიერესი ამჯერად ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი იბრაჰიმ გობოზოვი იყო — 203 ქულა (ნახტომები 73,5 და 74,5). მეორე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი კახა წაქაძე (200 ქ., 71,5 და 77 მ.), მესამეზე — ოსტატობის კანდიდატი ელგუჯა ყოროშვილი (187,4 ქ., 73,5 და 70,5).

„ლელოს" კორ.
ტელეფონით.

ბაკურიანი.

## ჭადრაკი

### ორი ახალი კანდიდატი

რესპუბლიკის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა „დინამოს" ღია რესპუბლიკური პირველობა ვაჟთა და ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად მიმდინარეობდა, 33 ოსტატობის კანდიდატი და 21 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის I ადგილი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ნიკოლოზ ლობჟანიძემ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. 6,5 ქულით II ადგილზე ოსტატობის კანდიდატი კამო ავეტისოვი გავიდა, მესამე იყო სერგეი კარტაშიანი— 6 ქულა.

ჭაბუკთა შორის 7,5 ქულით გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ალექსი ლაზარიშვილმა. ამდენივე ქულა ჰქონდა ზაზა მეზვრიშვილს, რომელსაც მხოლოდ უარესი კოეფიციენტის გამო ერგო II ადგილი. III ადგილი ოსტატობის კანდიდატმა თემურ მალალაშვილმა დაიკავა.

დასასრულს ჩატარდა ტრადიციული ელვისებური ტურნირი ოსტატთა მონაწილეობით. 11 ქულით პირველობა მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა არტურ თეიმურაზიანმა, ოსტატ იგორ ეფიმოვს 10,5 ქულა და II ადგილი ჰქონდა, ოსტატი როლანდ იაკობაშვილი 10 ქულით მესამე იყო.

აღსანიშნავია, რომ დავით დაბრუნდაშვილმა და გიორგი მაისურაძემ სათანრიგო ნორმატივები შეასრულეს და ოსტატობის კანდიდატის ბალი მიენიჭათ.

**გიორგი ფამილიანტი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### ფავორიტი ჩამორჩა

**მიუნხენში** დამთავრდა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი (მეორე ევროპული ზონა), რომელშიც 15 მოჭადრაკე ვაჟი იბრძოდა. I-II ადგილებზე გასულმა პრეტენდენტებმა საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

14 შესაძლებლიდან 10,5 ქულით I ადგილზე გავიდა დიდოსტატი იეჰუდა გრიუნფელდი (ისრაელი). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა საერთაშორისო ოსტატი გეორგ ჰიკლი (გფრ), რომლის შედეგი ტურნირის მთავარ სენსაციად ჩაითვალა. საქმე ის არის, რომ ამ მოჭადრაკეს აქამდე რაიმე თვალსაჩინო წარმატება არა ჰქონია. 9 ქულით III ადგილზე გავიდა და საგზურის გარეშე დარჩა დიდოსტატი ერიკ ლობრონი (გფრ), რომელიც ტურნირის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა.

### „პალანგა"-87

**ლიტვის** ზღვისპირა საკურორტო ქალაქ პალანგაში ჩატარდა ტრადიციული საკავშირო საჭადრაკო ტურნირი „პალანგა-87".

შეჯიბრებაში კვლავ მიიწვიეს შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოსტატობის კანდიდატები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი ვარლამ ვეფხვიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი დავით ჯაფარიძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მერაბ თხელიძე, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი მაია მახარაძე და სხვა.

მხოლოდ პირად პირველობაში მონაწილეობდა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე თათია ტუსიაშვილი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 28 შესაძლებლიდან 19,5-19,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ხარკოვისა და თბილისის კოლექტივებმა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით გამარჯვება უკრაინელ მოჭადრაკეებს მიეკუთვნათ.

პირად ჩათვლაში საუცხოოდ იასპარეზა მ. თხელიძემ, მან 7-დან 7 ქულა მოაგროვა და ხარკოველ კრემსუნთან ერთად I-II ადგილები გაიყო. ვ. ვეფხვიშვილს მეოთხე შედეგი ჰქონდა — 4,5 ქულა, დ. ჯაფარიძემ 4 ქულით VI-IX ადგილები გაიყო. ქალთა შორის II ადგილზე გავიდა მ. მახარაძე — 5 ქულა. 1,5 ქულით VI ადგილი დაიკავა თ. ტუსიაშვილმა.

**ვ. ვარლამიშვილი.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### ესპანეთი

კვირას „ბარსელონამ" ზედიზედ მეორე დამარცხება განიცადა, ამჯერად სარაგოსაში, „რეალთან" დაყარა ფარ-ხმალი — 0:2. გოლები გაიტანეს სენიორმა (თერთმეტმეტრიანი დარტყმით) და მეხიასმა. „ბარსელონას" აკლდა ორი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი — რობერტო და მიგელი. მადრიდის „რეალი" „სევილიასთან" გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა. შეხვედრის 25-ე წუთზე მადრიდელთა მეკარე ბუიომ მოიგერია სტუმართა თავდამსხმელის რამონის მიერ დარტყმული პენალტი, ხოლო 45-ე წუთზე მსაჯმა უკვე „სევილიის" კარში დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც გამოიყენა უგო სანჩესმა. ეს მექსიკელი ფეხბურთელის 25-ე გოლია წლევანდელ ჩემპიონატში. მადრიდელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს — 2:1. „ესპანიოლმა" მოუგო „საბადელს" — 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს გოლობარტმა, მარკესმა და სუნიგამ.

კვლავ დამარცხდა ბილბაოს „ატლეტიკო", ამჯერად ვალიადოლიდში „რეალთან" — 0:2. უკანასკნელი ხუთი ტურის განმავლობაში ბასკ ფეხბურთელებს არც ერთი გოლი არ გაუტანიათ.

„რეალ სოსიედადი" (სან-სებასტიანი) — „ატლეტიკო" (მადრიდი) 0:1, „ბეტისი" — „ოსასუნა" 0:0, „სპორტინგი" (ხიხონი) — „რასინგი" (სანტანდერი) — 2:1, „რეალი" (მურსია) — „კადისი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 30 | 53:26 | 43 |
| „ბარსელონა" | 30 | 40:19 | 42 |
| „ესპანიოლი" | 30 | 50:27 | 40 |

### იტალია

კვირას „ნაპოლიმ" ბერგამოში დაამარცხა „ატალანტა" (1:0) და კიდევ უფრო მიუახლოვდა მიზანს. გოლი შეხვედრის მე-11 წუთზე ჯორდანომ გაიტანა. „იუვენტუსი" შირეასა და ლაუდრუპის გოლების წყალობით თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდა, მაგრამ „ასკოლიმ" შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 2:2.

„მილანმა" მოუგო „ემპოლის" — 1:0 (გალდერიზი). ასეთივე ანგარიშით „რომამ" დაამარცხა „ტორინო", ამ თამაშში მსაჯთან კამათისთვის მოედნიდან გააძევეს პოლონელი ბონეკი, რომელიც „რომაში" გამოდის.

„უდინეზე" — „ბრეშია" — 1:0, „აველინო" — „ელასი" (ვერონა) — 1:1, „ფიორენტინა" — „კომო" — 1:2, „სამპდორია" — „ინტერი" — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 21 | 34:12 | 33 |
| „რომა" | 21 | 30:15 | 28 |
| „იუვენტუსი" | 21 | 30:18 | 28 |
| „მილანი" | 21 | 22:11 | 28 |

### საფრანგეთი

შაბათს ბორდოს „ჟირონდამ" სტუმრად დაამარცხა „რენი" — 1:0. გოლი ზლატკო ვუიოვიჩმა გაიტანა. მარსელის „ოლიმპიკმა" ფრედ დაამთავრა შეხვედრა ოსერში ადგილობრივ კლუბთან — 0:0. „ბრესტი" დამარცხდა „ტულუზასთან" — 1:2. სტუმართა ორივე ბურთი სტოპირამ გაიტანა. კვლავ წააგო „პარი სენ-ჟერმენმა", ამჯერად „ლილთან" — 0:1 (ვანდენბერგი). ლე რუს ორმა გოლმა „სოშოსთან" შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა „ნანტს" (2:1), სახიფათო ზონას დაცილდა პარიზის „რასინგი", რომელმაც გაანადგურა „ლავალი" — 5:0.

„მეცი" — „ლავალი" — 1:0, „სენტ-ეტიენი" — „მონაკო" — 0:0, „ნიცა" — „ლე ავრი" — 3:1, „ტულონი" — „ნანსი" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჟირონდა" (ბორდო) | 25 | 35:15 | 36 |
| „ოლიმპიკი" (მარს.) | 25 | 34:16 | 35 |

### ინგლისი

შედგა „ლითლვუდის თასის" ნახევარფინალური შეხვედრები. ლონდონის გუნდების „არსენალისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ორმა თამაშმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პირველ მატჩში გაიმარჯვა „ტოტენჰემმა" (1:0), ხოლო მეორეში — „არსენალმა" (2:1). მესამე შეხვედრამ გამარჯვება „არსენალს" მოუტანა — 2:1. ფინალში, რომელიც 5 აპრილს გაიმართება, „არსენალი" შეხვდება „ლივერპულს". „ლივერპულმა" მოუგო „საუთჰემპტონს" (3:0 და 0:0).

ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლივერპულმა" დაამარცხა „ლუტონ თაუნი" — 2:0 და პირველ ადგილზე იმყოფება. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „უოტფორდი" — „ევერტონი" — 2:1, „ჩელსი" — „არსენალი" — 1:0, „ჩარლტონ ათლეტიკი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — 2:1, „კოვენტრი სიტი" — „შეფილდ უენზდეი" — 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „მანჩესტერ სიტი" — 2:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ასტონ ვილა" — 2:1, „ნორიჩ სიტი" — „უიმბლდონი" — 0:0, „ნოტინგემ ფორესტი" — „ოქსფორდ იუნაიტედი" — 2:0, „საუთჰემპტონი" — „ლესტერ სიტი" — 4:0, „ტოტენჰემ ჰოთსპური" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 30 | 54:29 | 58 |
| „ევერტონი" | 30 | 54:25 | 55 |
| „არსენალი" | 29 | 42:17 | 54 |

### გფრ

გაიმართა თასის მეოთხედფინალური შეხვედრები. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" გაანადგურა იურდინგენის „ბაიერი" — 9:2. მეორე ლიგის „კიკერსმა" (შტუტგარტი) დაამარცხა ფრანკფურტის „აინტრახტი" — 3:1. დანარჩენი თამაშები: „დარმშტადტი" — „ჰამბურგი" — 0:1, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „კარლსრუე" — 1:0.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „ჰამბურგი" — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი), „კიკერსი" — „ფორტუნა".

ჩატარდა ჩემპიონატის ორი გამოტოვებული შეხვედრა: „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ბორუსია" (დორტმუნდი) — 3:2, „შალკე-04" — „ნიურნბერგი" — 2:4.

### ჰოლანდია

კვირას „აიაქსმა" მოუგო „ექსელსიორს" — 3:0. ერთ-ერთი ბურთი გაიტანა მარკო ვან ბასტენმა, რომელიც ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ დაუბრუნდა გუნდს. „ეინდჰოვენმა" სტარდში დაამარცხა ადგილობრივი „ფორტუნა" — 1:0. გოლი კუმანმა გაიტანა.

„აზ-67"-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ ჩაეტარებინა თამაში „დენ ჰაგთან". ამ გზით კლუბმა თავიდან აიცილა სტუმართა გულშემატკივრების ჩასვლა ალკმაარში. ეს უკვე მეოთხე მატჩია, რომელსაც „დენ ჰააგი" თავისი გულშემატკივრების გამო არ თამაშობს.

„ვენლო" — „გოუ ეჰედ იგლზი" — 1:0, „უტრეხტი" — „ჰაარლემი" — 2:1 „ფეიენოორდი" — „როდა" — 3:2, „დენ ბოსხი" — „გრონინგენი" — 1:1, „ზვოლე" — „ტვენტე" — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 22 | 65:17 | 38 |
| „ეინდჰოვენი" | 21 | 62:12 | 37 |

### ბელგია

22-ე ტურში „ანდერლეხტმა" მოუგო „ბრიუგეს"—1:0. ამ დამარცხების შემდეგ „ბრიუგე" რვა ქულით ჩამორჩება ლიდერს და ჩემპიონობის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

„ვარგემი" — „მეხელენი" — 0:1, „ბევერენი" — „შარლერუა" — 1:1, „ბერხემი" — „კორტრეიკი" — 4:1, „სერანჟი" — „სტანდარდი" — 1:3, „სერკლ ბრიუგე" — „ბეერსხოტი" — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 22 | 56:13 | 37 |
| „მეხელენი" | 22 | 34:9 | 35 |
| „ბევერენი" | 22 | 33:14 | 32 |

## სხვათა შორის

### კრიჭაში ჩადგომაც ამას ჰქვია!

**ზოტლანდიელმა** პოლიტიკურმა მოღვაწემ რეემ სპორტის სფეროში თანამემამულეთა „სიმპათიები" ასე გამოხატა

— როცა ინგლისელები ვესტინდოელებს კრიკეტს ეთამაშებიან, ვესტინდოეთის მხარეზე ვართ, როცა ინგლისელი რეგბისტები ახალ ზელანდიელებს ხვდებიან, ახალ ზელანდიელებს ვემხრობით და როცა ინგლისელები ვინმეს ფეხბურთს ეთამაშებიან, მხარს ვუჭერთ... პოლიციას!

### სოლისტის როლს თავაზობენ

**26 წლის** ამერიკელმა წყალში მხტომელმა გრეგ ლუგანისმა სამ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში 5 ოქროს მედალი მოიპოვა. ამას წინათ სპორტსმენმა ჰოლივუდის ერთ-ერთი კინოსტუდიისაგან მიწვევა მიიღო ფილმში ბალეტის სოლისტის როლზე. თავის დროზე ლუგანისმა საბალეტო სკოლა დაამთავრა. მაგრამ თეატრში ვერ მოეწყო და... სპორტს მიჰყო ხელი. ახლა იგი აპირებს საბალეტო კარიერის გაგრძელებას, ხელშეკრულების დადებას კი ბევრი სთხოვს.

### სტაჟირებაზე ჰოლანდიაში

**18 წლის** ში იუჩინი პირველი ჩინელი ფეხბურთელია, რომელსაც უცხოეთში თამაშის ნება დართეს. სანამ კონტრაქტზე ხელს მოაწერდეს, მან სამთვიანი სტაჟირება უნდა გაიაროს ჰოლანდიის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ კლუბში.

## „სპორტლოტო"

შედგა „სპორტლოტოს" მორიგი მე-10 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 19 (სათხილამურო რბოლები), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 11 (ხელბურთი), 17 (ციგურებით რბენა), 34 (ბალახის ჰოკეი).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 11 მარტი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საჭადრაკო გამოშვება: მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩი — **9.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (მე-2 ტაიმი) — **20.30 (2)**; ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში (ვაჟები) — **0.10 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **1.00 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 11 მარტი.** გადაცემა ბავშვებისთვის: „ფიზკულტურა და ჩვენ" — **17.40.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06817